სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/157

ქ. თბილისი 18 ივნისი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი სტუდენტისათვის სწავლების ხელშეწყობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 25 მაისის №11800453223 წერილის, სტუდენტთა წარმომადგენლის შუამდგომლობის, ფაკულტეტის დადებითი პოზიციის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 წლის ბრალდებული სტუდენტი გიორგი ბუჩუკური (პ.ნ. 01008056643) გადაყვანილ იქნეს სწავლების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
2. ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულ სტუდენტს მიეცეს საგანმანათლებლო პროგრამიდან იმ სასწავლო კურსების, საგნების გავლის უფლება, რომელიც არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და რომლის სწავლა შესაძლებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოწყობილი ინფრასტრუქტურის პირობებში;

3. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტმა უზრუნველყოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკებისათვის ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, საგნების, სილაბუსების, ლიტერატურის, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მიწოდება;
4. სტუდენტისთვის შუალედური და დასკვნითი გამოცდები შეფასდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკების მიერ გადმოცემული ნაშრომების საფუძველზე;
5. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**